სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის
თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

20/01/2025

MES 5 25 0000034709

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

სსიპ იაკობგოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში
კანცელარიაშივაკანტური თანამდებობისდასაკავებლად კონკურსის გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის "ზ" ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 3 სექტემბრის N122/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის- იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „ზ" ქვეპუნქტის, სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე და შტატგარეშე პერსონალის სამსახურში მიღების ერთიანი წესის შესახებ დებულების (წარმომადგენლობითი საბჭოს დადგენილება N26 14/03/2018 ოქმი N5) , სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის კანცელარიის უფროსის მანანა ბეჟანიშვილის სამსახურებრივი ბარათის (N 33072 20/01/2025 წ.) საფუძველზე:

ვბრძანებ

1. გამოცხადდეს კონკურსი სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში კანცელარიის მთავარი სპეციალისტის ვაკანტური თანამდებობის დ ა ს ა კ ა ვ ე ბ ლ ა დ ;
2. წინამდებარე ბრძანების პირველ პუნქტით გათვალისწინებული თანამდებობის მიმართ საკავლიფიკაციო მოთხოვნები დადგინდეს ამ ბრძანების დანართი N1-ის შესაბამისად (რომელიც თან ერთვის წინამდებარე ბრძანებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს);
3. წინამდებარე ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებულ თანამდებობაზე გამოცხადებულ კონკურსში მონაწილე კანდიდატმა საკონკურსო დოკუმენტაციის სახით უნდა წარმოადგინოს:
ა) განცხადება კონკურსში მონაწილეობის მიღებაზე (ადმინისტრაციის ხელმზღვანელის სახელზე);
ბ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
გ) ავტობიოგრაფია ქართულ ენაზე (CV);
ე) უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დიპლომი (სასურველია მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული ხარისხი);

ვ) ცნობა სამუშაო გამოცდილების შესახებ;
ზ) ცნობა ,,სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისათვის ნასამართლეობის შესახებ“.
4. კონკურსი ჩატარდეს 2 ეტაპად:
ა) საკონკურსო დოკუმენტაციის განხილვა;
ბ) გასაუბრება.
5. კონკურსში მონაწილეთა რეგისტრაცია დაიწყოს 2025 წლის 28 იანვარს და დასრულდეს 2025 წლის 3 თებერვალს;
6. საბუთების მიღება განხორციელდეს უნივერსიტეტის კანცელარიაში, უნივერსიტეტის I კორპუსის II სართულზე #206-ე ოთახში, 10:00 საათიდან - 17:00 საათამდე;
7. წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაციის განხილვა განხორციელდეს 2025 წლის 5 თებერვალს;
8. კანდიდატის საკონკურსო კომისიასთან გასაუბრება ჩატარდეს 2025 წლის 7 თებერვალს 12:00 საათზე;
9. ბრძანების ასლი გადაეცეს უნივერსიტეტის კანცელარიას;
10. დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის საინფორმაციო დაფაზე;
11. დაევალოს ინტერნაციონალიზაციისა და საზოგადოებრივ საქმეთა სამსახურს ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე;
12. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;
13. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ.თელავი, დავით აღმაშენებლის გამზირი №41).

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო / უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები / სსიპ – იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი / ადმინისტრაცია ადმინისტრაციის ხელმძღვანელი რამაზაშვილი სოლომონ